# ქალაქ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

## ოქმი №1

23.10.2017 ქ. ახალქალაქი

2020 წლის 22 იანვარს გაიმართა ქალაქ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდა საბჭოს 9 წევრი (დამსწრეთა სია თან ერთვის) და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბ-ნი არმენ მარანგოზიანი.

დღის წესრიგი:

1. გახსნა;
2. საბჭოს წევრების გაცნობა;
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანის არჩევა;
4. საბჭოს მუშაობის ფორმატი;

საბჭოს სხდომა გახსნა და წევრებს სიტყვით მიმართა ბ-ნმა არმენ მარანგოზიანმა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება საბჭოს საქმიანობასა და მისი მუშაობის პრინციპებზე, რის შემდეგაც შეხვედრა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით. სხდომას ფასილიტაცია გაუწია მრჩეველთა საბჭოს წევრმა, რომელმაც საშუალება მისცა დამსწრეებს წარედგინათ საკუთარი თავი და გამოცდილება. მცირე პრეზენტაციების შემდეგ დელეგატები აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში, კითხვა-პასუხის რეჟიმის ფარგლებში.
სხდომის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა ინფორმაციული წვდომა და მისი გავრცელება, ინფორმაციულ საფუძველზე საზოგადოების ჩართულობის ზრდის მექანიზმებზე მსჯელობა.
ფასილიტატორმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საჭიროა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. კენჭისყრის შედეგად მოხდა საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. დელეგატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (8 წევრმა) მხარი დაუჭირა მახარე მაცუკატოვის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას და შორენა თეთვაძის კანდიდატურას საბჭოს მდივნის პოზიციაზე.

საბჭოს მდივანი

შორენა თეთვაძე

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომის ოქმი #1

22 იანვარი 2020 წელი

| | | |
|---|---|---|
| 1 | მახარე მაცუკატოვი | |
| 2 | არტურ ხაჩატრიან | |
| 3 | კარინე ნახატაკიან | |
| 4 | შორენა თეთვაძე | |
| 5 | ვალიკ ქთოიან | |
| 6 | ვარაზდატ სალვარიან | |
| 7 | სოს მურადიან | |
| 8 | არტურ ირიციან | |
| 9 | თეონა ზურაბაშვილი | |